

შპს „ქინძმარაული“ ს/კ 233106992

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ფული და ფულის ექვივალენტები	8
4. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8
5. ძირითადი საშუალებები.....	9
6. კაპიტალი	10
7. სესხები	10
8. საერთო მოგება	10
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
10. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	11

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	31.12.17	31.12.18
აქტივები		
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>1 162 079</u>	<u>1 249 041</u>
ძირითადი საშუალებები	1 161 529	1 248 541
არამატერიალური აქტივები	550	500
<u>მიმდინარე აქტივები</u>	<u>3 890 807</u>	<u>5 239 824</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები	194 871	443 672
საეჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 792 522	1 355 175
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 855 452	3 267 303
გადახდილი ავანსები	-	80 853
სხვა მოთხოვნები	47 962	92 821
სულ აქტივები	5 052 886	6 488 865
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	700 000	700 000
გაუნაწილებელი მოგება/ (ზარალი)	3 675 977	5 197 286
სულ საკუთარი კაპიტალი	4 375 977	5 897 286
გრძელვადიანი ვალდებულებები	486 446	412 728
გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან	486 446	412 728
მოკლევადიანი ვალდებულებები	190 463	178 851
საეჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	190 463	178 851
სულ ვალდებულებები	676 909	591 579
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	5 052 886	6 488 865

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2019 წლის 30 სექტემბერს.



დირექტორი

ქიულენი რობიტაშვილი



მთავარი ბუღალტერი

ლიანა მოდებაძე

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება


	2018
ამონაგები	4 894 712
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 717 520)
საერთო მოგება	2 177 192
სხვა შემოსავლები	16 070
<u>სულ სხვა შემოსავლები</u>	<u>16 070</u>
საპროცენტო ხარჯი	(10 617)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(602 085)
სხვა ხარჯები	(46 800)
სულ საოპერაციო ხარჯები	(659 502)
კურსთაშორის სხვაობიდან წმინდა მოგება/(ზარალი)	(12 451)
მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	1 521 309

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2019 წლის 30 სექტემბერს.



დირექტორი

ქიულენი რობიტაშვილი



მთავარი ბუღალტერი

ლიანა მოდებაძე

შპს „ქინძარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	700 000	3 675 977	4 375 977
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	0	1 521 309	1 521 309
გადახდილი დივიდენდები	0	0	0
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	700 000	5 197 286	5 897 286

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ
2019 წლის 30 სექტემბერს.



დირექტორი

ჟიულენი რობიტაშვილი



მთავარი ბუღალტერი

ლიანა მოდებაძე

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს ქინძმარაული (ს/კ 233106992) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1997 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ლაგოდეხი, ლ.ასათიანის ქ., №13. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, ქართული ღვინის წარმოება.

კომპანიის 100 % წილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეკუთვნის ქიულენ რობიტაშვილს 3/6 25001001410.

2018 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 38.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ მსს ფასს-ზე გადასვლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათები შესადარისი პერიოდისა და ფულადი ნაკადების წარდგენასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წარადგენს აღნიშნულ ინფორმაციას.

რადგან მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, მსს ფასს-ზე გადასვლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს, შესაბამისად წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის წარდგენას.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/ზარალის ნაწილში.

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.5922	3.1044

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 2-20 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, საწყობამდე ტრანსპორტირების, გადამუშავების და შეფუთვის ხარჯები. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება, როგორც სარეალიზაციოდ გამზადებული მზა პროდუქციისგან, ასევე საწარმოო პროცესისთვის განკუთვნილი ნედლეულისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, საგადასახადოების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადოებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები წარმოდგენილი აქვს შესაბამის ანგარიშზე.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან აღიარდება: ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის შემთხვევაში, ზედნადების გამოწერისას, ხოლო ექსპერტის შემთხვევაში (EXW ან FCA) ინვოისის გამოწერისას. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას ზედნადების გამოწერისას, ხოლო იმპორტის შემთხვევაში ინკოტერმსის წესების გათვალისწინებით.

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31.12.17	31.12.18
ნაღდი ფული სალაროში	2 757	3 221
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	192 114	440 451
სულ	194 871	443 672

4 მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.17	31.12.18
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1 855 452	3 267 303
სულ	1 855 452	3 267 303

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ძირითადი ნაწილი შედგება მზა პროდუქციისა (ღვინო, კონიაკი, არაყი) და მასალებისგან (ბოთლი, თავსახური, ჩაჩი, ეტიკეტები და ა.შ.)

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(*ქართული ლარი*)

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	შენიშნა-ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანები და მოწყობილობები	კომპიუტერები	სულ
31.12.2017	520 200	202 349	618 420	3 122	1 344 091
შექმნა	0	54 423	97 088	424	
გახდა	0	0	0	0	
31.12.18	520 200	256 772	715 508	3 546	1 496 026
ცვლილება					
დაგროვილი ცვლილება 31.12.2017	80 070	27 440	74 425	627	182 562
ცვლილება 2018	26 050	10 118	28 443	312	
რეალიზებული ცვლილება	0	0	0	0	
დაგროვილი ცვლილება 31.12.18	106 120	37 558	102 868	939	247 485
საბალანსო ღირებულება					
31.12.17	440 130	174 909	543 995	2 495	1 161 529
31.12.18	414 080	219 214	612 640	2 607	1 248 541

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 700 000 ლარს, 2018 წლის განმავლობაში კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ შეადგინა 1 521 309 ლარი.

7 სესხები

	2017	2018
გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან	486 446	412 728
სულ მიღებული სესხები	486 446	412 728

8 საერთო მოგება

	2018
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	4 894 712
სხვა არასასაქონლო შემოსავალი	16 070
სულ შემოსავალი	4 910 782
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 717 520)
სარგებელი	2 193 262

9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
ხელფასი	208 044
საწვავი	80 443
ცვეთა და ამორტიზაცია	64 873
რემონტის ხარჯები	54 129
სამიწვინებო ხარჯები	38 955
კომუნალური ხარჯები	38 258
საოფისე ხარჯები	25 618
საკონსულტაციო ხარჯები	21 809
ქონების გადასახადი	14 172
სატრანსპორტო მომსახურება	8 778
საბანკო ხარჯები	5 501
წარმომადგენლობითი ხარჯები	289
სხვა ხარჯები	41 216
სულ	602 085

შპს „ქინძმარაული“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 23 525 ლარს (2017 წელს - 17 600 ლარი).